ფასი 10 კაპ.

ტარტაროზი

№ 33 (269) 1930 წელი

არქიმედი: — ევრიკა! ნაპოვნია დასაყრდომი წერტი, რომლითაც შეიძლება ძველი ქვეყნის აყირავება!

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук ГССР

12 574

ყარამანის აღზრდა

ყარამანი ხრუშჩოვით ჩვეულებრივი კაცია. ჰყავს ცოლი, შვილები, აქვს სამსახური, არის პროფკავშირის და კოოპერატივის წევრი, თუმცა საწევროს თავის დროზე არასოდეს არ იხდის.

ყარამანის სიყმაწვილის მიზანი იყო შვილების აღზრდა საკუთარ ყაიდაზე და ჭკუაზე.

— ბავშს ფეხებს რომ დაუბაკუნებ, მაგიდის ქვეშ უნდა შეძვრეს,—ასე მსჯელობდა ყარამანი.

ბავშები წამოიზარდენ, სკოლაშიც დადიან.

— ხომ იცი, რომ გეტყვი, ტრუბაში უნდა გაძვრე!—ეუბნება ყარამანი უფროს ვაჟს (16 წლისაა).

— რომელ ტრუბაში, მამაჩემო?

— საერთოდ, ყოველგვარ ტრუბაში!

— კი მაგრამ, რათ უნდა გავძვრე, რა მიზანი აქვს მაგას?

— ჰმ! მიზნობით მელაპარაკები? მაგისთვის ჩაეწერე კომკავშირში?

— კომკავშირი ეგრე ხელწამოსაკრავი არ არის, ამხანაგო მამა!

— რაო, ამხანაგოვო? მე შენ გიჩვენებ...

ვაჟი მიბრუნდა და „პოლიტცოდნის" კითხვა განაგრძო.

ყარამანმა თავი შეიკავა და ისევ ქალს მოუბრუნდა.

— მოდი აქ გოგო! სად იყავ დღეს?

— დღეს უტილს ვაგროვებდით, მამაჩემო; მთელი ჩვენი უბნის პიონერები იქ იყვნენ. ჩვენ, პიონერები უტილის დაგროვებას ვაწარმოებთ.

— აღარ ჰდაგინახო პიონერებში, უტილის რა მცოდნია!

— როგორ მამავ? გაუკვირდა პატარა ქალს, შენ მეუბნები მაგას? მერე იცი რა არის უტილი ჩვენი ქვეყნისთვის? გესმის შენ უტილის მნიშვნელობა?

ყარამანმა ხმა ჩაიკმინდა.

— მოდი და ასეთი ბავშები აღზარდე შენს გემოზე,—მწარედ ჩაიფიქრა მან.

სხვათა შორის, ღვინო უყვარს ყარამანს და იყო შემთხვევებიც, როცა იგი სახლში მთვრალი მოსულა.

— ეგ რა არის მამაჩემო, ღვინო დაგილევია?—საყვედურით შეეკითხა ვაჟი.

— შეუძლებელია, მამაჩემი ლოთი? პიონერის მამა ლოთი?—აღშფოთდა ქალიც.

— იცი, ამხანაგო მამაჩემო, რა ზიანი მოაქვს ალკოჰოლს?—დარიგების კილოთი შე[illegible] ისევ ვაჟი.

— ალკოჰოლი ორგანიზმს სწამლავს, მეორედ მთვრალი ნულარ მოხვალ, თორემ ჩემი მამა აღარ იქნები,—დაუმატა ქალმა და ყელზე მოეხვია,—ჩვენ გვეუბნებიან, რომ ლოთი კაცი ახალ ქვეყანას არ გამოადგება... მომეცი სიტყვა, რომ ღვინოს აღარ დალევ...

ყარამანი შეეყოყმანდა, დაიბნა და ძლივს ამოილუღლუღა, რომ ალკოჰოლს ახლოსაც აღარ გაეკარება.

— მაშ მოდი თამბაქოც მიატოვე, მაგაში ნიკოტინია, რომელიც...

— კლავს კაცს,—დაუმატა ქალმა და აქაც სიტყვა ჩამოართვა ყარამანს.

— როგორ გინდა ასეთი თაობა აღზარდო და გარდაქმნა,—მწარეთ გაიფიქრა ყარამანმა და კედელზე ჩამოკიდულ ძველ სურათებს მიაჩ[illegible]ა.

— ეგ სურათები ჩამოვხსნათ და სამაგიეროთ ლენინის, სტალინის, ფილიპეს, მიხას და სხვების სურათები დავკიდოთ,—შეიტანა ერთ დღეს წინადადება კომკავშირელმა ვაჟმა, და სიხარულით დაეთანხმა. ყარამანმა აქაც ვერაფერი სთქვა და ბინა ძველი ბოლშევიკების სურათებით აივსო.

— რას კითხულობ შენ მამაჩემო? „ნადირობა იხვზე"? არც კი გრცხვენია, მოდი ისეთი წიგნები მოგცე, რომ თითები ჩაიკვნიტო. აჰა, ეს „სახელმწიფო და რევოლიუცია"—ლენინის, ესეც კულაკობის ლიკვიდაციის შესახებ—სტალინის, ესეც კომუნიზმის ანბანი, ესეც პოლიტიკური ეკონომია...

ყარამანს კალიასავით მიაყარეს წიგნები ვაჟმა და ქალმა და სამეცადინოთ დასვეს.

— როგორ გინდა აღზარდო ასეთი ახალი თაობა?—კვნესით სთქვა ყარამანმა და მე-16 პარტყრილობის რეზოლიუციებს ჩაუჯდა.

— მამაჩემო, შენ დილით არც ვარჯიშობ და არც ცივი წყალის შხაპს იღებ,—ეგ ჩვენ არ მოგვწონს,— მიმართეს შვილებმა ყარამანს და იმ დღიდან ნამდვილ ფიზკულტურელივით ავარჯიშებენ.

— ვერა, ძმაო, ახლანდელი ბავშების აღზრდა არ შეიძლება, ფიქრობს ბაქარას თამაშიდან დაბრუნებული ყარამანი.

— სად იყავი მამავ?

— ივლიანესას, ცოტა ხანს კარტი ვითამაშეთ.

— კარტიო? ერთი ამას დამიხედეთ! იცი შენ რა ზიანი მოაქვს კარტის თამაშს, კარტი ღუპავს კაცს, მოდი ჭადრაკი გასწავლოთ!

— შახ! ქიშ! შამათი!—ასე ისმის ხშირად ყარამანის ბინიდან იმ დღის შემდეგ.

— რა ქენი მამავ, კომპარტიის ისტორია წაიკითხე?

— როგორ არა.

— ყრილობის რეზოლიუციები?

— კი, კი, თავი დამანებეთ.

— რის დაგანებოთ, მოდი ვიკამათოთ, რა არ მოგწონს რეზოლიუციებში!..

— „როგორ გინდა ასეთი ბავშები აღზარდი",—სასოწარკვეთილებით ამბობს ყარამანი და კამათში ებმება.

გამოიცვალა კაცი, თავს ვეღარ სცნობს, სახლში კომუჯრედი მოუწყვეს და პოლიტანბანის მეცადინეობით სიქა გააცალეს.

სამსახურში ყველას გაუკვირდა, როცა გაიგეს, რომ ყარამანმა კომუჯრედში განცხადება შეიტანა პარტიაში მისი ჩარიცხვის შესახებ.

— რა ვქნა ძმაო, მე ვფიქრობდი ჩემი შვილების აღზრდას, მაგრამ ახლა ისეთი დროა, რომ თითონ შვილები ზრდიან მამებს—ღიმილით ამბობს საკანდიდატოთ გამზადებული ყარამანი.

ტერსიტი.

ბედნიერი პრემიერი

ინგლისის „მუშათა" მთავრობა დიდ ფუსფუსში იყო ინგლისის მეფის უნცროსი ვაჟის იორკის ჰერცოგის ცოლის ლოგინობის დროს. მოელოდენ ვაჟს, ტახტის მემკვიდრეს, მაგრამ იშული.

მაკდონალდი: — ეტყობა ძალზე ჭკვიანი იქნება, ინგლისის მდგომარეობაზე ეხლავე სტირის!

ბურჟუა და პიონერი

— მე არ მეშინია გაფიცვებისა და დემონსტრაციების: მათ წინააღმდეგ მზადა მყავს პოლიცია და სოც.-დემოკრატია.

— არ მეშინია! შავკანიანებზე დახელოვნებულ [illegible], ლომი და ნიანგი რას დამაკლებენ?!



— ომი და აჯანყებები მე ვერ შემაშინებს: მზადა მყავს შეიარაღებული ჯარი. აჯანყებებს ყველგან ჩავაქრობ; ერთი-მეორეს მივუსევ ახალშენის ხალხებს.

— აი, ამისი კი მეშინია!



— მე ვერც სიკვდილი შემაშინებს: ავადმყოფობის დროს პროფესორები მადგანან თავზე... მე ვერაფერი შემაშინებს....

„კვერცხყლაპიები“

ლანჩხუთი

ლანჩხუთის მეფრინველეთა ამხანაგობაში ზოგიერთი ხელმძღვანელები ინკუბატორებიდან იღებდენ გამოსაჩეკ ცხელ კვერცხებს და იქვე ყლაპავდენ!



— თუ გაგვიგებენ, თავი ვიმართლოთ: — ექიმმა გამოგვიწერა თბილი კვერცხების ყლაპვა-თქო!

ძირულა

ტაში, ტუში, ტაში ტუში.
ოდელია რაშო, რერა...
ამას წინეთ ოლიფანტ[illegible]ს
აუტეხეთ გულის ძგერა!

ის თუ სხვისი ოფლით, [illegible]
გასუქდა და გაიბერა, —
თავის ცუდი მოქმედებით
მთლად გლეხობა გადიმტერა.

მაგრამ გლეხი არ შეარჩენს
საქათმეში მრძომ წუწკ მელას,
გასწმინდეს და... მაგრამ ისევ
წამოსკუპდა სხვაგან ხელად.
(ამ საქმეში ალბად ვიღაც
„დიდი კაცი“ მოიშველა),

მას კვალდაკვალ უნდა დევნა,
ასე ვფიქრობ, ასე მჯერა...
„[illegible]“-ც დასტურს მაძლევს..
ტაში ტუში, რაშო რერა.

ძირულელი თალა.

ვერ ვნახე, დაკარგულიყო

ჩემდა საუბედუროთ აღმასკომში განცხადება შევიტანე.

გავიდა ორი კვირა. მივედი პასუხის მისაღებად, ვეძიე ვისაც განცხადება მივეცი, მაგრამ ვერ ვნახე; დიდხანს კიდევ დაწჭირდებოდა ხეტიალი, რომ ერთ ცნობის მოყვარე ახალგაზრდას (ეტყობოდა კომკავშირელი იყო), არ შევცოდებოდი.

— ბიძია, აღმასკომი ახალ ბინაზე გადავიდა, ქალების ყოფილ გიმნაზიაში, — მითხრა მან.

ავხტი - დავხტი და მივადექი ქალების გიმნაზიას.

— მოითმინეთ, ამხანაგო, ახალი გადმოსული ვართ, დავეწყობით და მოვნახავთ თქვენს განცხადებას! -- მივიღე პასუხათ „ახალ“ აღმასკომში.

გავიდა დანიშნული დროც. ავხტი, დავხტი და მივადექი აღმასკომს.

— ამხანაგო, აღმასკომი ძველ ბინაზე გადავიდა. მომაკრა პასუხად დარაჯმა.

— ავხტი, დავხტი და მივადექი ძველ ბინას.

— მოითმინეთ, ამხანაგო, ახალი გადმოსული ვართ, დავეწყობით და მოვნახავთ თქვენს განცხადებას. შემოიარეთ ერთ კვირაში.—იყო უკანასკნელი პასუხი.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ მივედი დანიშნულ ადგილას.

ოთახები ცარიელი, იატაკი მონაგავებული, ელექტრო - შნურები ჩამოგლეჯილი. მხოლოდ კედლებს განცხადებები შერჩენოდა. ვიფიქრე, ალბად ახალი ბინის მისამართი თუ სწერია. წავიკითხე: „დაზოგეთ ყოველი კაპეიკი“, „დაიცავით ეკონომია“, „ებრძოლეთ უთავბოლო ხარჯებს“, „უგეგმო ხარჯები მთავარი მტერია ჩვენი წინსვლისა“.

ჩამეცინა. გამოვბრუნდი. ვის ვკითხო. სად წავიდე.

— ოჰ, გამარჯვება ტრიფონ! — შევეფეთე ამხანაგს.

— გაგიმარჯოს.

— სიმონ, შენ გეცოდინება — სად არის რაიკომი, — დამასწრო. (ალბად დიდხანს ეძებდა).

— რაიკომი? რაიკომი სასოფლო სამეურნეო ბანკი რომ იყო, იქ არის.

— იქ ვიყავი, მაგრამ მითხრეს — კოოპერატივის თავზე არისო.

— მაშ მუშგლეხინი რომ არის, იქ იქნება.

— სად არის მუშგლეხინი?

— საფინგანი, რომ იყო.

— სად იყო საფინგანი?

— კომკავშირის კომიტეტი რომ არის.

— სად არის კომკ. კომიტეტი?

— ჯანმრთელობის განყოფილება რომ იყო...

— სად იყო ჯანმრთელობის განყოფილება?

— შენ, ჩემო ძმაო, ჩამორჩენილი ყოფილხარ. აბა მაგენს ვინ დაეწევა სიარულში. ამდენი ხეტიალიც არ მინახავს. ერთი კვირაა დავეძებ და ვერ ვნახე.

ცარიელი ყუთი

ჭიათურა

ფოსტა - ტელეგრაფის გამგე

ზოგიერთ მამებს

ვარ ჩინოვნიკი ხურდა
და შვილები მყავს ჯარად.
მაგრამ გავგიჟდე უნდა,
არ არის მეტი ჩარა.
ჩემმა უფროსმა ვაჟმ
მონახა კომკავშირი,
მომასხით აიაზმა..
შინ შემეყარა ჭირი,
უნცროსი ქალი ნუცა
დადის წითელი ბანტით,
თუ რამ წამომცდა უცბათ,
მეტყვის: „ნუ ხარო ბატა“.
ჰაზე უნცროსი ბიჭი
კითხულობს „პოლიტკოდნას“,
ლენინიზმში აქვს ნიჭი,
ჰოდი და ნუ ხარ ცოდვა!
ყველაზე უნცროსს ნინელს
ვატყობ გადახრას ნაზდვილს,
დახედეთ ამ საშინელს —
წითელს ატარებს მანდილს.
ოთხია, მაგრამ... ახ! მე!
მყავდეს მარტოკა ერთი.
სახლში პოლიტწრე გახსნეს,
წმენდაში მოხვდა ღმერთი.
კომკავშირელი შვილი
რას დაუჯერებს მამას.
ვარ ასე გაქექილი
(ვინ მოელოდა ამას).
ჩემს საწერ მაგიდაზე
ლენინის სურათს ვხედავ...
თმები მიდგება ყალყზე,
მაგრამ თქმას ვინ გაბედავს!
მე მაყიდვინეს თითონ
სტალინის დიდი ბიუსტი.
მე ვიყო თითქოს, მითომ
ურყევი კომუნისტი....
თითონ მეუღლე გახლავთ
კოოპაქტივის წევრი.
მიხედით, რაღა ვარ ახლა,
ან რათ მაქვს თეთრი წვერი!
ვიყავი უბადრუკი
და ყოფაც მერგო მწუთხე,
სახლში მაქვს „პოლიტკრუგი“,
თანაც წითელი კუთხე:
სურათი მარქს-ლენინის,
სტალინის, შალვას, სერგოს...
რის მქონდა მოლოდინი,
და ეს რა ბედი მერგო?
თვით არ ვარ პროფაქტივი,
სახლში მიწყობენ უჯრედს..
მე ოფლი მასხამს ცივი
და ეკარგავ ტვინის უჯრებს...

ალლარ.

პრესის გმირები

— ჰმ! ბრიყვები! კვლავ გამწერეს..
რამდენიც სურთ, სწერონ, ჯლაბნონ.
ასემც გვერდი არ აუდგესთ,
რომ მე იმათ დამიჯაბნონ.

კარგად მყავდეს ჩემი „ის“ და,
ვინ დამაკლებს, ნეტა რამეს?!
საქეიფოდ ერთად მივალთ
რესტორანში ყოველ ღამეს.

ბრაზი მოსდის რომ გასწერეს,
გაუბედეს მას ეს როგორ!?.
— უნდა ჩავსვა იგი ქვევრში,
დავახურო თავზი როგო.
თუ გავიგე—ვინ გამწერა,
სულის მოთქმას არც კი ვაცლი,
შევამცირებ და დავითხოვ,
შურს ვიძიებ, ღდინს გავაცლი.

ეს გასწერეს — ხულიგნობსო,
ხშირად მოდის დანათვრალი.
მანქანა რომ გაგვიფუჭდა,
სწორედ ამის იყო ბრალი.

ეს იცინის, უხარია,
არც კი აუდებს ამას ჩირად.
ამბობს: — ნეტა გაზეთებში
გამწერავდენ უფრო ხშირად!



ახი არის, რომ გამწერეს...
ვაი, ეს რა მომივიდა?!
ენა რად ვერ გავაჩერე,
რომ ავდუღდი ლომივითა?

დავიღუპე. რა ვქნა ეხლა?
ო, ვინ ჩადგა ჩემს ცოდვაში?
გამიქვავდეს მე ეს ენა...
რად წამომცდა მთვრალს ბოდვაში.

რინ-ტინ-ტინ

აჭარული სცენა

ვალაი ბილაი დასახლება არ მინდოდა.

ნუ გეიკვირვებთ ამას ჭოვ, ჩვენში ქალის ნახვა არ იქნება. სულ ამას ვფიქრობდი. რომე უნახავათ ქალი რაფერ მეთხოვნა.

ბოლოს ჩემმა დინეიმ მომინახა ქალი და მითხრა — უნდა დასახლდეო. დილხორი გავხდი, მარა რალას ვიზამდი ჭოვ, ვუყიოდ ურუბა, ჩარჩაფი, კონდრა და ყორიფელი გუუგზანე.

მეკიყვანე ცოლი.

როცა შინ მეიყვანეს, მერე მიჩვენეს, მარა რას ხახავ, ძიავ, ნენეეე იმის სიგრძე ცხვირი ქონდა, ჭოვ, რომე ტყის ქათამი გეგონებოდა. ახლა ვიფიქრე, აი, რა იბრეთი დამმართეს მეთქი: გეეიწიე საკოცნელად, მარტყა ცხვირი, გამიხეთქა პირი: კიდევ გეეიწე, მომხდა თვალში, გავარდი კარში, გადუხტი კვალში, ვიყვირე და ვიყვირე — რაება მომატყუეთ — მეთქი.

გაშობით კი გაუშვი, ძიავ, ქალი, მარა, ნიქალის ფარას არ იტყოი? კაი ასი ლირა გადვიხადე, ჭოვ, ფუხარა ხასანამ.

დეილოცა, ჭოვ ახალი დროი, ფუხარა ხალხს ვეღარ გავატყუილებენ ძველებურად.

ბუჯგუტი.

სამკითხველოში

(სამტრედია)

ლუბა: გოგო, ნუცა, რომ იცოდე. რა მშვენიერი კაბა ვიყიდე, ჭკუას დაკარგავ!

ნუცა: კაბა კი არა, იმისთანა ტეხნიკი ჩამოსულა, რომ იფ, სულში შეიძვრენ თქვენი ამბავი რომ ვიცი.

თამარა: —კარგია, ჩხუბი თუ არ მოგვივიდა.

გოგელია: — ამ ქაღალდზე ხელი მომიწერე, ნუცა.

ნუცა:— კარგი, ნუ შემაწუხე, ხომ იცი ახლა მაინც უჩემოდ რომ არ ვარგიხარ.

1-ლი მკითხველი (შემოდის) — კაცო, რა ამბავ ა აქ, სამკითხველოა თუ...

მე-2 მკითხველი: — რა ვიცი, ძმაო, აქ არაფრის წაკითხვა არ შეიძლება.

მილიციის თანამშ. (გოგელიას): — რაშია საქმე ჩვენთან გაზეთებს რომ არ აგზავნი?

გოგელია: — ეს ჩემი საქმე არ არის, ფოსტას მიაკითხეთ.

მილ. თანამშ. — რა ვიცი, რა, იგელისის გაზეთები არ მიგვილია და ფოსტა თქვენთან გვგზავნის და თქვენ კი ფოსტასთან.

ლუბა: — ერთი თქვენც, საქმე ხომ არ დაგელიათ. (ნუცას) ამელამ საით არის ჩვენი მარშრუტი?

ნუცა: — ამელამ შენთან ვართ, „იმას“ თუ გაგვაცნობ შენ რომ იცი.

1-ლი მკითხველი: — სიწყნარე, ამხანაგებო. მოგვეცით გაზეთის წაკითხვის საშუალება (წყლის დამტარებელი შემოიყვირებს სამკითხველოში „ცივია, ცივი კიბულა“... სამკითხველოს კარებთან ქალების ფუსფუსია, ყვირიან: „აბა აქეთ: ნიორი, პრასი, ოხრახუში, კიტრი სამი ერთი შაური“... ცივი კიბულააა... ვადა, ვადა კამუ ნადა“).

სერგო: ნუცა. რა ქენით, ამ სამკითხველოს ბინა კიდევ ვერ მოუნახეთ? არ შეიძლება ამის აქ გაჩერება, აუტანელი ხმაურობაა.

ნუცა: — აბა, ბიჩა, რა „ნეენი“ კაცი ხარ! მოგიკვდა ჩემი თავი (იცინის)

ერთ-ერთი მკითხ. — ერთი მომინახეთ „დედაკაცი და სოციალიზმი“.

ნუცა: — ეს წიგნი დაიკარგა.

მკითხ. — „გაბზარული გული“.

ნუცა: — ესეც დაიკარგა.

მკითხვ. — „რა უთხრა მამამ თავის თვრამეტი წლის ვაჟს“

ნუცა. — დაიკარგა.

ლუბა (ნუცას ჩუმად)—დაიკარგება, გოგო, აბა რა იქნება, სანახევროდ სამკითხველოში არა ხარ.

ნუცა — გაჩუმდი ერთი შენც... საქმეში ხარ..

თამარა: — გუშინ შემხვდა იგი და ისეთ ვიარშიყე. წაგართვი, წაგართვი... ხა...ხა...ხა..

ნუცა: — მე ახლა არ გიზამ, თვარა სუყველას მშრალზე დაგტოვებთ...

ასირო: — იმდენი რა გითხრა, შენ რამეს გაბედავ. მერე აქანე მოცდა არ გინდა?

მკითხველები: — (აიშლებიან) — შევარცხვინეთ ამისთანა სამკითხველო და ამისთანა გამგეც...

ბრაგუნა.

რ ე ბ უ ს ი

რებუსიდან გამოდის სათვალებიანი მოლარე ქალი, რომელმაც აღნიშნულ დღეს ასე უპასუხა მოქალაქეს:

— თუ ცნობა გინდათ, ჩადექით რიგში..რიგის გარეშე ეხლა ხომ იცით არაფერი არ შეიძლება!

— კი, მაგრამ მე მინდა გავიგო ბილეთის ფასი?

— ჩადექით ბილეთის აღების რიგში და როცა ჩემთან მოაღწევთ, მაშინ გეტყვით. რიგის გარეშე დღესსალამსაც აღარ იძლევიან.

— ხურდა მერგება, ქ-ნო? — ეუბნება ვილაც;

— ჩადექით ხურდის მიმღებთა რიგში და როცა გვექნება, მოგცემთ.

— ხუთი შაურისათვის არც კი ღირს ამდენი ლოდინი! —და მიდის მოქალაქე.

— ეხლა ყველაფერზე რიგია...თუ არ მოგწონთ ფეხით წაბრძანდით, ბაქოში! — ეუბნება მესამეს.

ნეტავი ბევრი ჰყავს რკ. გზას ასეთი პანიკიორები? ალბად ბევრი.

ასეთ „რიგის“ ხალხს ურიგო არ იქნებოდა, რომ ურიგოდ გაწმენდას რიგი ვახვედროთ.

საიქიოსკენ მიმავალი

ჯუგაანის (კახეთი) თეატრი ისეა მანგრეულ - მონგრეული, რომ შიშისაგან შიგ ვერავინ შედის. კლუბის გამგე კლუბის ფულებით ქეიფობს.

ბიბო (კლუბის გამგე—საქაოს მოათავა ჩემმა კლუბმა მუშაობა და ეხლა საიქიოსკენ მიემგზავრება.

„მიიღო რა მხედველობაში“

— რა გატირებს, ქალო? აქ გავფლანგე — იქ გამგზავნეს; იქ გავფლანგავ და ისევ აქეთ გამომაგზავნიან!

ბაქურიანის ავ-კარგი

ტარტაროზო, ბაკურიანს ჩაუარე ერთი:
მთლად გაუწყრა ამ უბედურს წელს ბევერი ღმერთი.
თუ არ გჯერა, შენით ნახე საჩანგალ-საკბილო.

პირველ რიგში შემოგხვდება პროექტ-სასადილო.
მთელი თვეა ის ოხერი წყვება, წყვება, წყვება...
ნოემბრამდე ვინც მიაღწევს, ალბად ეღირსება.

იქვე კერძო სა“ორცვეა—აგარაკის თვალი.
(გირვანქა ხორცს დამიწონეს კილო რქა და ძვალი).
„ზაკტპო“ არის დაკეტილი, სულ წევს და ისვენებს...
მუშკოოპში მხოლოდ ერთხელ შაქარი უჩვენეს,
შემდეგ დარჩა პუდრი, დუხი და არაყი კიდევ,
რომ კითხვით არ შეაწუხონ, ხშირად ადევს კლიტე.

ფურნესთან ხომ ყოველ დღეა სისხლის მღვრელი ომი
პური ხშირად დამწვარია, უფრო ხშირად—ცომი.
ხშირად წვიმს, და ალბად წვიმას უძღვის მასში ბრალი,
რომ ბოლო დროს არტელის რძეს შეეპარა წყალი.
მართლა, წყალი მომაგონდა... ის ღირს რძეზე ძვირად.
სამმართველოს „სხვისი ჭირი“ უჩანს ლობის ჩხირად,
თორემ ამდენ ფულს რომ ბოჭავს და სალაროს სტენის,
რად არ ფიქრობს, რომ დრო არის აწი წყალსადენის?

ეჰ, საკბილოს იმდენს ნახავ, ოღონდ მოდი ერთი,
რომ დაგჭირდეს შესაქმნელად აქ ტარტაროზ-წერტი.

ჭიტა.

ერთი დღით ხონში

გადამეკიდა ცოლი: — კოოპერატივში ფართალს არიგებენ და, არიქა, უშველე, ერთი საკაბე მაინც მიყიდეო.

შემოვირტყი ქამარი და დავადექი ხონის გზას.

უცებ ცხვირში ლეშის საზარელი სუნი მეცა. მდინარეში მკვდარი ძაღლი ეგდო. ცხვირი ავიკარი და ნაბიჯს უმატე.

— ოთხი წელია, ძმაო ჩემო, ჩვენ ეს სუნი გვახრჩობს. აბრეშუმის ძაფ-სალებ ქარხნიდან მოდის ნახარში პარკის წყალი ამ მდინარეში. 15—20 ვერსზე ყველაფერს წამლავს. დაგვპირდნენ —მილებით ეწერში წყალს გავიყვანთო, ფულიც იყო გადადებული, მარა დაპირება დაპირებათ დარჩა და ფული სადღაც გაქრა! — დაიბოლავა სოფლელმა, რომელიც ჩემთან მოდიოდა.

ჩავედი ხონში.

ნახევარი ბაზარი წყალში სცურავდა. იხვები და ბატები ბანაობდენ შიგ.

— რატომ არის წყალი ბაზარში?

— იმიტომ, რომ არ მიდის. ვერა ხედავ თხრილებს გაწმენდა უნდა? წყალი შიგ ვერ ეტევა! — უკმეხად მიპასუხა ღვინით შეწითლებულმა მილიციონერმა კიკაბიძემ და მომშორდა.

დუქნების დარაბებზე გაკრული ჭრელი აფიშები მთელს ხონს აცნობებდენ:

„სალამო. ვახშამი მაგარი სასმელებით გახართობები: არღანი, გარმონი, ზურნა, კარტი, ნარდი, ლოტო, ლატარია და სხ. ნება დართულია რაიაღმასკომის, პოლიტგანის და მილიციის მიერ“.

მინდოდა ერთი ცალი აფიშა ჩამომეღო და გადამეგზავნა ტარტაროზისათვის, მაგრამ მილიციის უფროსის თანაშემწემ ა. რუხაძემ მიშ ხელი. (კონტუათის კოოპერატივიდან გამოაძევეს და მილიციას მიაფარა თავი).

მივედი კოოპერატივში. კარებში იდგა მილ. უფროსი შალიკო ბახტაძე და ნაცნობების გარდა შიგ არავის უშვებდა. მე ის არ მიცნობდა და არც შემიწუხებია თავი შიგ შესვლაზე.

სიმღერა მომესმა, ავიხედე: დივანზე ღვინით გალეშილი მილიციელი ალიე ჭავჭანიძე, რომელიც მოხსნილი იყო სამსახურიდან ყაჩაღების გაშვებისათვის, მაგრამ...

— რაკი შალიკო ბახტაძე დადგა მილიციის უფროსად და მისი კარგი მეგობარი იყო, ჭავჭანიძე, ისევ დააბრუნა სამსახურში! — მითხრა ერთმა ნაცნობმა.

ამ დროს შემოხვა ჩ...რობა. შემოიტანილი ხალხა და ისინის. ღორებს გამოუთრევიათ „ხლებსოიუზ“-ის საწყობიდან ერთი ტომარა სიმინდი და შეექცევიან.

— სად არის მილიციელი, რომ ღორები დაიჭიროს და პატრონები დააჯარიმოს ქალაქში ღორების გაშვებისათვის? — ვკითხე გამვლელს.

ნიგრში.

„ანნა პავლოვნა“

ქარდანახის საბჭ. მეურნეობა



— როგორ თუ თქვენ, მუშები მე, გამგის ცოლი „შენობით“ მომმართავთ და არა—„ქ-ნო ანნა პავლოვნა!“ მაგრამ თქვენ მუშები ხართ და რა იცით რა არის ზრდილობა!

დაგვიანებული „სასწრაფო“

სანდრო ბუკიამ ერთ მშვენიერ საღამოს წერილი მიიღო:

სალამი, ჩე˝ სანდრო!

ძლიერ გულმოსული ვარ შენზე. ჯერ იყო და სული შემიწუხე — სამსახური მიშოვე და დამეხმარეო. გაცნობე დეპეშით ამ ორი კვირის წინეთ და შენ, ჩამოსვლა კი არა, პასუხიც არ გამეცი, შემარცხვინე ამ ხალხთან; იმდენი ვეხვეწე ჩვენ თავმჯდომარეს შენს შესახებ; შენ კი ხმაც არ გამეცი. შეგარცხვინა ღმერთმა. ეხლა ეს ადგილი სხვამ დაიკავა შენ კი იყავი აწ ხახა-მშრალი.

10 ივლისი 1930 წ. შენი აფთო.

სანდრომ წერილი გადიკითხა და ხელები აუკანკალდა.

— როგორ მაცნობა!.. რა მაცნობა?.. რას ამბობს!? არაფერი მესმის!.. კაცი გულის ფანცქალით ველოდი მისგან ცნობას ადგილის შესახებ და ეს კი რას იწერება? რაშია საქმე? ვერაფერი გამიგია: ალბად გამოგზავნა წერილი და დაიკარგა!

დაჯავრიანებულ სანდროს იმ დღეს მადაც დაეკარგა. მეორე დღეს გულმოსულმა აიღო ხელში კალამი და საპასუხო წერილი გაუგზავნა ამხანაგს:

ძმაო აფთო!

მაგრამ ამ დროს კარებზე ფოსტალიონმა დააკაკუნა:

— ბუკია, მიიღეთ დეპეშა!

სანდრო გიჟივით წამოვარდა.

— ვაი თუ სოფლიდან რაიმე უბედურება იყოს! — გაიფიქრა სანდრომ და საჩქაროდ გახსნა დეპეშა, რომელშიაც ეწერა:

ჩამოდი საჩქაროდ დაგნიშნეს.

აფთო.

სანდრომ ოთხჯერ გადაიკითხა დეპეშა, სიხარულით გული აუტოკდა, უცებ წამოხტა და სწრაფად სადგურისაკენ გასწია.

მეორე დღეს სანდრო აფოს მიადგა.

— კი, მაგრამ, ჩემო სანდრო, ეს ხომ ძველი დეპეშაა! ამდენ ხანს სად იყავი?

— როგორ თუ ძველი? გუშინ მივიღე!

— ეს გამოგზავნილია 13 აგვისტოს დღეს კი 24 აგვისტოა!

სანდროს ელდა ეცა. მიხვდა, რომ ხასწრაფო დეპეშას დაგვიანებულმა წერილმა აჯობა სისწრაფეში.

მეფისტოფელი.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...

პროფკავშირთა ბიუროს სხდომები ყოველთვის გვიან თავდება, რის გამოც მუშა - მოსამსახურენი მეორე დღეს ნაყოფიერად ვერ მუშაობენ.



ᲓᲐᲠᲐᲯᲘ: — სსს... ჩუმად! ხომ ხედავ—სძინავთ? წუხელის თავმჯდომარის მოხსენება ბოლომდე მოისმინეს!

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ

შორაპანში ჩასვლისთანავე „ზაკტპოს“ ბუფეტს მივაშურე.

— მხოლოდ ქათმის საცივია, სხვა არაფერი! — მითხრა ოფიციანტმა საცივსავით ცივად.

მომიტანა.

წვენში მოტორიან ნავსავით ცურავდა მამლის თავ-ფეხი. დეზებზე ეტყობდა, რომ მამალი გენერალი თუ არა, პოლკოვნიკი მაინც იქნებოდა სიცოცხლეში. მყრალი სუნი ამტკიცებდა, რომ ეს პატივცემული პოლკოვნიკი მამალი იმ დროისა იყო, როცა ერეკლე მეფემ საქართველო რუსეთს შეუერთა. (ალბად მაშინ შემოუძღვა ეს „პოლკოვნიკი““ რუსეთის ჯარს).

დამენანა ასეთი ისტორიულ განძის შეხრამუნება (მაინც ვერაფერს დავაკლებდი) და ვსთხოვე გადაეგზავნათ არქეოლოგიურ ინსტიტუტისათვის.

შაკო.

ᲛᲝᲡᲔ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲡᲝᲤ ᲙᲝᲠᲑᲘᲝᲣᲚᲘ, ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘ.

მასწავლებელი: — აბა, ვინ იტყვის, რა საქმეები ჩაიდინა მოსე მწერალმა?

მოწაფე: მოსე მწერალმა ყალბი საბუთი შეადგინა ოქროუას და სამხედრო ბეგარისაგან გაანთავისუფლა.

მასწავლებელი: აი ხედავთ, ასეთ საქმეებს ჩადიოდენ ძველ დროში სოფლის მწერლები და მამასახლისები.

მოწაფე: — მასწავლებელო, ეხლაც ჩადიან ასეთ საქმეებს. აი, მაგალითად: ჩვენი აღმასკომიდან გასცეს მოწმობა, ვითომც შეძლებული გლეხი გიგო დარბაიძე არის ღარიბი, ჩვენს მასწავლებელ ტაბატაძესაც მისცეს სიღარიბის მოწმობა და სწერენ, რომ მისი მშობლები მეურნეობას ეწეოდენო; სინამდვილეში კი მისი მშობლები ვაჭრები იყვნ.

პიტა.

„ტირე გულო, იტირე სულო,
იტირე ჩემო შეყვარებულო....

ეს სიმღერა, ზურნა და თარი თქვენ მოგესმებათ, როცა ტრამვაის ვაგონიდან გადმოხვალთ ფუნიკულიორის ქვემო სადგურში.

ვაგონს მიჰყევხართ ზევით. ეს ხმები კიდევ უფრო გიახლოვდებიან (უფრო სწორად — მათ უახლოვდებით)

ჰა, ფუნიკულიორიც.

ფუნიკულიორი ტფილისის გარეგნულად პირველი სიამაყეა და უმშვენიერესი ადგილი. ყოველ ჩამოსულ უცხოელს და საბჭოთა ექსკურსანტ-ტურისტს უბის წიგნაკში პირველად ფუნიკულიორის ნახვა აქვთ შეტანილი.

ალბად მათ წარმოდგენილი აქვთ ფუნიკულიორი თითქოს ისეთი იყოს, როგორც თვითონ ჩვენ გვაქვს ყურები გამოჭედილი: „საზაფხულო ტფილისი", „კულტურის კუთხე", „დასასვენებელი ადგილი" (და სხვა ასეთი მარგალიტები). მაგრამ სინამდვილეში არავითარი ამისი მსგავსი.

არის მუშაობა, რომ ფუნიკულიორი მართლაც ასეთი გახდეს, მაგრამ ამავე დროს საწინააღმდეგო მოვლენასაც აქვს ადგილი.

ფუნიკულიორს ბევრი ჰყავს ხულიგნები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ მოქალაქეებს ფუნიკულიორზე.

ფუნიკულიორი აბუამად თითქმის ერთად-ერთი ლეგალური „სამოთხეა", სადაც მფლანგველებსა და მათ არიფებს შესაძლებლობა აქვთ **„თავისუფლად ამოისუნთქონ სუფთა ჰაერზე და გემრიელად სჭამონ ერთი ლუკმა პური".**

ფუნიკულიორი — ყოფილი ორთაჭალის „დარდიმანდობისა" და „ყარაჩოღელობის" გაგრძელება ხდება; ძველ ადათებს და ჩვეულებებს, რომლებიც კვდებიან, ფუნიკულიორი კიდევ ასაზრდოებს და ინახავს.

ტფილისი „სახელგანთქმული" იყო ჩოფურას დუქნით, ავეტიკას რესტორანით, „თეთრი დუქანით", „ვერდენით", „ელდორადო"-თი და სხვ.

აღარ არიან ესენი — ახალმა ყოფა-ცხოვრებამ მიჰკეტა.

მაგრამ ფუნიკულიორი, როგორც ეტყობა, მათ მეწკვიდრედ გვევლინება. ამას ემსახურება და ამისთვის „იბრძვის" „არტელი" „გემოვნება", რომლის ისარი („სტრელოკ") მართლაც ისარივით ხვდება ფუნიკულიორზე ასულ მოქალაქეთა ჯიბეს.

ვისაც გაქვთ გემოვნება, —
ინახულეთ „გემოვნება"....

და, მართლაც, ამართლებს თავის სახელწოდებას თავის მესვეურთათვის (სხვებისთვის რა მოგახსენოთ).

საღამოდან გათენებამდე ხრინწიანი ხმა თავგატეხილივით ჰყვირის თარზე და დოლზე.

იტირე სულო, იტირე გულო,
ვარალო...
იტირე ჩემო შეყვარებულო
თარალო....

იქ კი პატარა ხის ქვეშ მაგიდაზე მოქალაქე ასე ასხვაფერებს ამ სიმღერას:

იტირე ჯიბევ, იტირე ფულო,
ზარალო...
იტირე ჩემო ცოლო და შვილო
ვარალო

ზმუკი.

10 ჩვენი მსუბუქი ... ...

„ზედნადები"
ნახ. ლიდუაშვილის

— ალბად კოოპერატივის გამგე შენი მოყვრეა, რომ ამდენი საქონელი მოუცია შენთვის!

— არა, გენაცვალე. ინვალიდთა კოოპერატივში ერთი მეტრი ჩითი ვიყიდე და ყველ[illegible]ი ეს „დავესკათ" გამომატანეს.



შიგ რაც რომ არის, თქვენც კარგად ხედავთ,
წვენიც წყალია მღვრიე ნიდოსის.
ნუ გაიკვირვებთ, ასეთი არის
კეთილი ცაგერის სასადილოსი.

ა. ალავიძე (ცაგერის ეპოს თავ-რე): თუ საქმეები ჩემს მუშაობას არ ეთანხმებიან, მით უარესი საქმეებისათვის!

მკუასთან ალოლ.
ნახ. ი. კახიანის (ახალი სოფელი)

— სად მიდიხარ ცხვირაკრული და სკამით.

— ჩვენს კლუბში... მაზ სხვაგან სად უნდა წავიდე ამნაირად?!

მისამართი
ნახ. ალ. ჯაშის. (ხრესილი).

მგზავრი:—[illegible]ნ[illegible]ო, აქ ბილეთის სალარო სად არის?
სალგ. მსახ:—აი, იქ იმ [illegible]ოთახს იქით, ყვირილი, გინება და ჩხუბი სადაც ნახო, იქ იქნება!

გადარჩა
ნახ. ლალიაშვილის.

— აძანაგო, თქვენ ჯარიმა უნდა გადახადოთ ვაგონიდან ჩამოხტომისათვის 50 კაპ.
— ინებეთ... მომეცით ხურდა!
— თავისუფალი ხართ!

თანამედროვე ამოცანები

✦ ტყვია მელნის, თოფი კალმის ქაღალდს მოხვდა, ცაცი დაჭრაო. (თვითკრიტიკა, მუშკორი და ბიუროკრატი).

✦ ზარს რეკს-ვატმანი არ არის, ავტომობილით დაჭრის—შოფერი არ არიზო. (ბიუროკრატი).

✦ თოჩმეტმა მავნებელმა, სამას სამოცდა ექვსმა გამფლანგველმა ექვსი კვერცხი დასდვესო. (გამსახლი).

✦ წითელი ხარის ნაწოლზე, ბიუროკრატი ვეო იაეირებსო. („მსუბუქი კავალერია").

✦ ვოოკე, ვოოკე, ვერ მოვთოკე. (ზოგიერთი მომხსენებლის ენა).

✦ შეიძენ, არას წააგებ, არა და—კაცობას დაჰკარგავ. („ხუთწლედი ოთხწელში"-ს სესხი).

✦ შიშის ზარი, ტანში ჭარი (რევაზია).

ბაბჩი.

ლევარსის მოპარვა

ლევარსი აუარებელი ბარგი-ბარხანით ტფილისისაკენ მიემგზავრებოდა.

გაგონილი ჰქონდა, რომ მატარებელში ხშირია ქურდობაო.

ამიტომ გადასწყვიტა არ დაეძინებია და თეთრად გაეთენებია ნივთების მოვლაში.

მაგრამ როცა ვაგონში გაისმა მგზავრების ხვრინვა, ლევარსის თავი მწიფე ღომის თავთავივით დაუბძიმდა, თითქოს ყველა ფილოსოფოსების ტვინი მის თავში ჩამოწვაო. დიდხანს ებრძოდა ძილს, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც გაიმარჯვა.

— ყველაფერს ბაწრით მივიბამ წელზე მაგრად. როცა ქურდი დააპირებს მოხსნას და წაღებას, შევიტყობ და გამოვიღვიძებ, დავიჭერ და მერე მე ვიცი რასაც ვუზამ! — გაიფიქრა ლევარსიმ და გაფიქრება სისრულეში მოიყვანა.



ლევარსიზე ისე იყო ბაწრით მიბმული ნივთები, რომ ეგონებოდათ — ეს კაცი ბაწრით გაუკოჭავთო.

მალე ლევარსიმ ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ ორთქლმავალის საყვირის ხმაც კი დაჩრდილა.

ქურდსაც ეს უნდოდა.

მიადგა ლევარსის და დაიწყო ნივთების მოხსნა. მაგრამ ლევარსის ისე მაგრად ჰქონდა მიკრული, რომ ქურდს იზედი გაუცრუვდა. გარდა ამისა, ლევარსი ხშირად ინძრეოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღრმად არ ეძინა.

ბოლოს ქურდმა, როცა ვერაფერი გააწყო, მოიკიდა ზურგზე ლევარსი მთელა მისი მიკრული ბარგი-ბარხანით და ერთ სადგურში ჩუმად გადაჰხტა.

ლევარსის ისე მაგრად ეძინა, რომ არც კი გაუგია ეს ამბავი.

მოდიოდა ქურდი და მიჰქონდა ზურგზე აკიდებული ლევარსი, რომელსაც თავის მხრივ უამრავი ბარგი ჰქონდა ტანზე მიკრული.

— მაგ რად გინდოდა, რომ წაგიღია! — უსაყვედურა ქურდს თავის ამხანაგმა, როცა ბინაზე მივიდა.

— მა რა მექნა, როცა ამ მუდრეგს მთელი ბარგი ისე მიეკრა ტანზე, რომ შეუძლებელი გახდა შემოხსნა!— უთხრა პირველმა მეორეს.

— აბა, რა გეგონათ, ბიძიებო! თქვენ მოატყუილებთ ლევარსი როხროხაძეს? — და ამ სიტყვებთან ერთად; გამოღვიძებული ლევარსი ზეზე წამოდგა.

ქურდებმა დაიჩოქეს და პატიება სთხოვეს ლევარსის. ლევარსიმაც აპატივა.

ზმუკი.

„განკულაკება"

ბაღდათი

სავლე კბილაშვილი „შეგნებულად" ახდენს ბაღდათის კულაკების განკულაკებას. კულაკს ნესტორ მინდაძეს გადაახდევინა 50 მანეთი, სამაგიეროდ მინდაძე გადაარჩინა გადასახლებას. განკულაკების მიზნით დომენტი მანაძეს გადაახდევინა 20 ბანეთი, ხოლო კულაკ სამხარაძეს — გამოურკვეველი თანხები.

სავლე კბილაშვილი მიუდგომელი კაცია და თუ სხვის განკულაკებას ახდენს, არც თავის თავი დაიზოგა: კოლექტივიზაციის კამპანიას განკულაკებული შეხედა, რადგანაც საკუთარი ვენახი ათხარა და მიყიდა კულაკ თედორე ნიშნიანიძეს.

მევახშეობაზე კბილაშვილი თავს იკავებს იმის შემდეგ, რაც ღარიბ გლეხს გიორგი მინაძეს ასესხა 100 მანეთი, თვეში 5 მანეთის სარგებლით.

„გაიმასჭნებას" თავი მიანება იმის შემდეგ, რაც ლადიზე ტულუშს „გაუიმასჭნა" ყანა, პოლიკარპე ტულუშს — არაყი და სოფ. ამაღლებაში კი—ჰალტო.

დრო არის კბილაშვილს გაესინჯოს კბილები და „ტარტაროზ"-მაც მაგრად გაჭკრას თავისი კბილები.

ხლისტი.

რუსული იუმორი



— ძველმა თავმჯდომარემ ფული შეჭამა.., ახალი ავირჩიოთ!..

— სჯობს ისევ ძველი დარჩეს, ის გამძღარია... ახალი ისევ შესჭამს.



— შემოიარეთ ორი კვირის შემდეგ!

— თუ შეიძლება უფრო ადრე, თორემ, ვინ იცის, ერთ კვირაში მოგხსნიან თქვენ,—აკი წმენდა მიდის თქვენს დაწესებულებაში!



— დავბერდი... უწინდელ წმენდაზე ადვილად ავდიოდ-ჩამოვდიოდი ამ კიბეზე... ამ წმენდის დროს კი თავმოსხლეტით დავეშვი ძირს.

— როგორ! ჩვენს საბინაო სახლს პრიმუსების საკუთარი საწყობი აქვს?!

—არა... ეს ნივთიერი საბუთებია იმისა, რომ დიასახლისებს საერთო სამზარეულოში ყოველდღე ჩხუბი ეოსდით.

— რატომ არა გაქვთ საჩივრის წიგნი?

— ჩვენ ისეთი საქონელი გვაქვს, რომ აიც ერთი მომხმარებელი არ საყვედურობს.

— ეჰ! ნეტავი შეიძლებოდეს შეჭამული ფულის უკან მოლება!

— რას ეზამდი?

— კიდევ ჩამოვდგამდით და დავითვრებოდით!

უკანასკნელი ცდა

(ლანჩხუთი)

პატარაობიდანვე მეშინიოდა არქეოლოგიისადმი მიდრეკილება. ბებია ჩემის გადმოცემით, ჯერ ერთი წლის არც კი ვყოფილვარ, რომ სადაც კი შემხვდებოდა ან ნაცარი ან ნაგავი, ყველაფერში ვურევდი ხელებს და ხშირად, გემოს გასასინჯათ, პირისაკენაც კი წამიღია. ვინ იცის მაშინ რაზე ვფიქრობდი. წერა რომ მცოდნოდა, შესაძლებელია გენიოსური შრომა დამეწერა, მაგრამ რას ვხამ, როცა ჩვენში მხოლოდ ექვსი წლიდან ასწავლიან ანბანს.

—:—

ამ ერთი კვირის წინედ, ჩვენი სოფლის მახლობლად აღმოვაჩინე გაუხრწნელი ხარი პრეისტორიული ხანისა. განსხვავება თანამედროვე ხარსა და ჩემს მიერ ნაპოვნ ხარს შორის არაა, თითქმის არავითარიც, პირუტყვი, ძალიან ჰგავს ნიკორაანთ ნიშა ხარს (და ვინ იცის იქნებ მათი წინაპარიც იყოს). ამრიგად მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ დარვინის ევოლიუციის თეორია სისულელეა და მას გასაბათილებლად უკვე შეუდექიან ახალ ფაქტებზე დამყარებულ თეორიის დამუშავებას.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ დიდს საქმეს აუცილებლად წინ დაბრკოლებები უნდა გადალახონ და აკი მეც გამომიტვრა ასეთი. გუშინ მოვიდა ჩემთან ნიკორაანთ ბიჭი და ქეჩოს ფხანით მეუბნება:

— ვერ გაგიბედამდი, კია, მაგრამა მოვერიობისა გვეშინიან... ი ჩვენი ნიშა ხარი ამ წინაზე ციმბირის ჯირისაგან მოგვიკვდა და სოფლი ბოლოი ჩეფთაგეი... ეხლა შენ რომა ამოგიჩიჩნია, გინდა შენცა და ჩვენც დაგვშტრაფონ!?

ამაო იყო ჩემი მტკიცება, რომ ეს არის ინკარნაცია შემთხვევა ისტორიაში, რომ ეს არის პრეისტორიული ხარი, ე. ი. იმ დროინდელი, როცა ციმბირი ციმბირი კი არ ერქვა, რაღაც სხვა სახელი და, მაშასადამე, ციმბირის ჯირზეც ლაპარაკი ზედმეტია. ის მაინც ქეჩოს ფხანით განაგრძობდა:

— ნე კი შევატყობინეფ აღამასკომშია და დანაარჩენი თქვენ იცით... ია მოიგონაა და შენც დაახლოებული ხარ ინათთანა, ერთმანეთში როგორც გინდა მორიგდით, მე უიწავლელი გლეხი რაზედ უნდა დამჭყლეტოთ?

როგორც იქნა დავამშვიდე და განვაგრძე ჩემი მუშაობა... ვიწყე ხარის ახლო-მახლო არქეოლოგიური თხრა, და წარმოიდგინეთ, რამოდენიმე ნაბიჯის ნოშორებით ჟანგიანი მავთულის ნაგერი მოამხვდა ხელში... თვით ჟანგი აშკარა დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ მავთული პრეისტორიულ ხანას ეკუთვნის. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანს პირველ ხანაში გამწევ ძალად „ყოლია ხარები. შემდეგში მას შემოუღია ელექტრონის ენერგია, რასაც სპილენძის მავთული მოწმობს. ეს დაახლოვებით ისეთივე პერიოდი იყო ადამიანის ცხოვრებაში, როგორშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, ამრიგად ჩემი აღმოჩენა სულ თავდაყირა აყენებს კაცობრიობის ისტორიას... იგი სპობს იმ სულელურ დანაწილებას, თითქოს ადამიანს გაევლოს ქვის, ბრინჯაოს, რკინის და სხვაია ხანები.

ჩემი ორი გამოკვლევით გათამამებულმა უფრო გავაღრმავე ჩემი არქეოლოგიური შრომა, განვაგრძე თხრა. წარმოიდგინეთ, ვერაფერი ვიპოვე. მაშასადამე, უკვე უმავთულო ტელეფონს განვითარების ეპოქის სამახრთან მქონდა საქმე. ეს ის ხანაა, საითკენაც თანამედროვე კაცობრიობა მიისწრაფვის, მაგრამ მივაღწევთ ჩვენ ამას თუ ვერა, სათუოა, უდავოა, მხოლოდ ის, რომ ჩვენს წინაპრებს უკვე მიღწეული ჰქონდათ.

თუ რამ გამოიწვია მთელი კულტურის უკან ოაქვეოითება, ამასაც განვმარტავთ....

მაგრამ... განა ასეთ სფეროში შესაძლებელია მეცნიერული მუშაობა? ეს რა უწყება მომაჩეჩეს აღმასკომიდან გამოგზავნილი:

ოცდაათი მანეთი ჯვაიმა ციმბირის წყლულით მომკვდარ ხარის გატყავების მიზნით ამოღ[illegible]ის გამო.

იგი.

— ეგებ ამ ლეშმა მაინც გამოაღვიძოს ეს ჩვენი სანიტკომისია!

წერილი აკაკის

გავიგე ზეკრის აბანოში მოწყობილხარ მოლარეთ, კიდევ ძალიან უსინდისებიათ, თორემ ხომ ეახსოვს შარშან რა გვიქნეს გორდაში?

ქუთაისში, გრიგოლ ბერი (უქიმერიონის ეკორაზე რომაა) ეფერო მალე მოიწყობა სამსახურში, ვინმე მუშკორი. მინდოდა ზეკარში (კოლშეილთან ჩამოსვლა, მაგრამ ციბაცხელებამ შიმშალა ხელი.

თუ ძმა ხარ, გამიწერი შენებურად ქუთაისის გლეხკომის სასახლე. სულ რემონტშია იოსებ დიდიას შარავალიანი. „მოსვენება“ გარეთ და სახორაგებზე გადგმულ „კოკეებზე“ ღამეში ორი მანეთი ღირს. მე თუ არ დამიჯერებ, ჰკითხე ბიჭორ შანიძეს და სანდრო ბოკეაძეს.

—:—

გამოკეხადდი წითელ ჯვარში.

9 საათია. არის ბავშვების ჭყივილი, ავადმყოფთა კვნესა. ექიმები არ სჩანან. მაციებს და მაცხელებს. ციბაცხელება ნუ მოეშალა მაგათ, როგორც კი აუტყდება შენ რო გაშიმაგ გაზეთში მერე, მარა მე რას წამადგება.

ეს არაფერი, ჯვარმა კომიტეტის სახელზე ორი ეიოსკი აიღო. ერთი სადგურზე გახსნა, მეორე —თეთრ ხიდთან და შიგ ვაჭრები ჩააყენა. ისინი მათგან საიჯარო თანხას ღებულობენ და ვაჭრები კი ტყავს ძარობენ მომხმარებლებს.'

ბიჭო, შენს ხელში ფული უსდა ტრიალობდეს. (მოლარეთ ხარ აბანოში). გაფლანგე რამოდენიმე ათასი მანეთი, თუ გინდა ქუთაისში კარგი ადგილი იშოვო. მხოლოდ მუშკორი რომ ხარ, ეს არ გაამხილო, თორემ არსად არ მიიღებენ.

თუ როგორ უნდა მოიქცე, მომართე კოლია ხატიშვილს და ვინჩა მამაეიშვილს.

გაბ. გახუ. გამეე თეიმურაზ „ბუმბერაზს“ თუ იკითხავ, ისეე ბიუროკრატობს. ათასჯერ გამოსჭიმეს გაზეთებში, მაგრამ ყურს არ იბერტყავს.

თეიმურაზ „ბუმბერაზი“ ჯერჯერობით მართლა ბუმბერაზობს, თუ მალე მუშკორებმა ეშკილიდან არ დააგდეს.

ნახვამდის ველი პასუხს.

„შიხლინსკი ბომბ“.

„თავდაცვა“

სადგ. სიღანლული

— სად მიდიხარ, კაცო, ამ კეტით?

— აგერ, სადგურში. დღეს აგენტი ნაზაროვი მორიგეობს, და ხომ იცი მისი ამბავი, არავის არ გაუშვებს გაულახავს!

ელსმენთან

(სად. ფოთი)

სარდიონი (სად. კომიტეტის თ-რე):—მოგვეცი „ს“ კაბინეტი. მარკოზ ნიკოლაიჩია?

მარკოზი (სადგ. უფროსი):—მე ვარ მთლიანად!

სარდიონი:—ხომ იცით, შტატის საკითხი უნდა მოვაგვაროთ და წამოაყენე კანდიდატები.

მარკოზი:—კარგი. ეხლავე გადმოგცემ. მთავარ ბუღალტრად, როგორც საპასუხისმგებლო ადგილი, უნდა დავნიშნოთ დროებითი ტეხნიკური მეანგარე მექი გვილავა. გადმოვიყვანოთ სამტრედიიდან რემინგტონზე მომუშავე ხიმშიაშვილი, თუმცა ძველი პოლიციელია, მაგრამ არა უშავს, მიღებულ იქნას ჭაჩიბაია მოანგარიშეთ; შტატში გადაირიცხოს ვას. შაპოვალოვი, (ადკომში ყოფნის დროს ფულები რომ შესანლა) გადავრიცხოთ მეანგარე ქალი მოანგარიშეთ, აპ. კახიანი ავიყვანოთ საქმის მწარმოებლად. დანარჩენს მერე გეტყვი და დაუმატოთ, რაც თავი იყო ქე გითხარი.

სარდიონი:—კარგი, მარა ისეთები გამოგრჩა აგინს გარეთ, რომ მეტი გამოცდილები, მცოდნეები და რა უთხრა იმგენს

მარკოზი:—ნუ, ბრატ. ხუთწლიანი გეგმის შესრულება აბა როგორ გინდა 4 წელიწადში? ჩამომითვალე შენი კანდიდატებიც, ვნახოთ რა ტიპებია.

სარდიონი:—კავტიევსკი, გრ. ოდიშარია, მარჯანიშვილი, თარგამაძე, გვასალია და...

მარკოზი:—აპაპა. დაკარგე აქედან ერთი და მეორეც. არც მაგათი გამოცდილება და ცოდნა მინდა, არც არაფერი. კაცო, არ გწამს ღმერთი. მე ეს ხალხი თვალით დასანახავად მეჯავრება და შენ გინდა კანტორაში შამოშიხიზნო? რომ რამე დაშავო, გაზეთებში დაგიწყებენ ჭიმვას. მე მაგათთან გასასწორებელი საქმე მაქვს.

სარდიონი (მოფერებითი სახელი სარდი:)—კარგი, მარკოზ ნიკოლაიჩ. არ გეწყინოს, ტყვილა გითხარი, თვარა...

კლიტე

„დეპეშა“

—ესთქვათ: სოფლისაკენ მკვდარს მიასვენებ
დარდების ცეცხლი გიელავს გულში...
დეპეშას აძლევ... გსურს მეზობლები
მოსახმარებლად შეგხვდენ სადგურში.

გაივლის დრო და მკვდარს ჩასვენებ,
დასაფლავებ როგორც წესია...
ხუთი დღის შემდეგ მოვა დეპეშა
(რომ არ მოვიდეს უკეთესია).

ესთქვათ, რომ შემთხვევით გიკვდება ვინ
და გსურს ამბავი სწვდეს შენიანებს.
დეპეშას აძლევ... სიჩქარის ნაკლად
ათი დღით მაინც დაიგვიანებს.

უცბად ატყდება მწარე კივილი,
თითქო ინგრევა მიწა და ცანი,
აგერ მიიღეს შავი დეპეშა:
ასაფლავებენ შენს ერთ შვილსაო.
შემდეგ ირკვევა, რომ იმ დეპეშის
შინაარსი და აზრი სხვა იყო,
„ტელეგრაფისტის“ დაუდეგრობით
ჩოხატაურში გადამდნარიყო.

რამდენჯერ მოხდა ასეთი რამე,
რამდენჯერ სული მოვიდა ყელში,
რაშია საქმე. კულტურულ დროში
დეპეშის ნაცვლად გავგზავნოთ ელჩი.
რომ არ გაგრძელდეს დავი-დარაბა
რომ დროზე შეწყდეს ეს ტრაგედია,
უნდა მოხსნას შემადგენლობა:
ჩოხატაური და სამტრედია.

ყოველ დღე ლუპავს ეს ხალხი საქმეს
ბოდიშის ნაცვლად გაგლანძღვენ კიდეც.
დე, ეს ამბავი „ტარტაროზი“-ლან
მოიდოს ყველას კიდითი-კიდე...

იანი

კახეთის რკინის გზაზ



— ღვინო ენერგიას ჰმატებს ორთქლმავალს.

პურის მავნებლები

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
И. Гришашвили
345
1930

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი", კამოს ქ. № 68,